ახლა კი დრო ქართველნო რომ,
შავ ჭირსა სძლიოს საქართველომ!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, ბოგობიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუიოებით და ჭობებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 8 ოქტომბერი. 2016 წ. №188 (8079), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თამარ ერისთავი

ცრუ ნაციონალების სეენისას

სადღაც ხსნა არის,
თქვენ რომ ფიქრობთ,
ოღონდ იქ არა!
ჩვენს სალამურზე
აღარ მოდის
ხარი წიქარა –

რომ შეამტვრიოს
ცხრაკლიტული,
არ ჩანს არავინ;
გულგრილობაა
ტყვეობაზე
გულშემზარავი,

და ხალხისათვის
სატყუარა
კოჭის გორება,
და სიტყვის ფანდით
ბაზალეთის
გადაგორება...

მწამს, მიწისქვეშა
საქართველოს
რომ ჩვენი არ შურს,
ვინ მოახტება
იმ გედაურს,
ვინ ეტყვის აჩუს –

ოდიშიდან რომ
შეგვჭიხვინებს
და უხმობს მხედარს...
სინდისისათვის
თავს რომ სდებდეს,
ვინმეს თუ ხედავ!

თუმცა მე ერთი
უძველესი
ანდაზა მახსოვს–
შავ ღრუბელსაც კი
ვერცხლისფერი
სარჩული აქვსო.

იქნებ ველოდოთ
მგორავ კოჭის
დაჯდომას ალჩუდ,
და შავი ღრუბლის
დაპირებულ
ვერცხლისფერ სარჩულს...

მანამ კი, მანამ,
ეს ქვეყანა,
სულ ერთი ბეწო,
გავიგოთ ფეხქვეშ,
ვაბურთაოთ,
ვთქვლიფოთ და ვწეწოთ.

ვისთვის მზიანობს
ცისქვეშეთი,
და ვისთვის კუშტობს...
ფუი, ყასიდად
ფუყე მკერდზე
დარტყმულო მუშტო!



სააკაშვილის ნაცნარჩენების სვლა უკრაინისკენ, ან... არსაით

შინაგან საქმეთა სამინისტრო: თარგამაძეზე თავდასხმის საქმე გახსნილია

გუშინ, საღამოს გლდანში სპეცოპერაციის ადგილზე შს მინისტრის მოადგილე ბესიკ ამირანაშვილი მივიდა, მისი თქმით, საქმე გახსნილია, მიმდინარეობს ბინის ჩხრეკა და გამოძიება მუშაობს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისთვის.

„შეგვიძლია, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქების ფაქტი გახსნილია. 3 დღის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიებები. დადგენილია დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი. მიმდინარეობს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება“.

თავდასხმელი სოდის ყოფილი თანამშრომელია

წუხელ, მოგვიანებით, სოდის ყოფილი თანამშრომლის **დავით ხეჩუაშვილის** დაკავების ოპერაცია წარიმართა. ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ხეჩუაშვილის დედის სახლი გაჩხრიკეს.

მათივე ცნობით, მეზობლები ჰყვებიან, რომ დავით ხეჩუაშვილი ბოლო პერიოდში უკრაინაში იმყოფებოდა. ამავე საქმეზე სპეცოპერაცია კრწანისის რაიონშიც გაიმართა. ეჭვმიტანილის დედამ კი განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, იმყოფებოდა თუ არა მისი შვილი უკრაინაში და არც ის იცის, საერთოდ რას საქმიანობდა ბოლო პერიოდში.

აბსოლუტურად მართლდება ქართველი ხალხის უმრავლესობის აზრი: ყოველგვარი სისაძაგლის მკადრებელი ნაციონალები, არჩევნების წინა დღეებში, სრულიად გამიზნულად, ერთმანეთს დაერივნენ. ამჯერად გივი თარგამაძე გაიმეტეს... ვინ იქნებ შემდეგი?!

არ შევცდეთ, არ მოვტყუვდეთ!

კახა კალაძე:

ახალგაზრდებო, ჩვენ ერთად ქვეყნის ჯარისკაცები ვართ!

მინდა, მოგმართოთ ყველას: — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, მიუხედავად თქვენი პოლიტიკური გემოვნებისა, მიუხედავად განწყობისა ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ. ჩვენ ყველამ გამოვიარეთ უმძიმესი წლები. დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის 25-წლიანი ისტორია ჩვენს თვალწინ იქმნებოდა — ჩვენი საშუალებით და მონაწილეობით. ამ პროცესებში ჩვენი სისხლი, ჩვენი ცრემლი და ჩვენი პირადი პატარა თუ დიდი ტრაგედიებია ჩაქსოვილი... და ეს ჩვენი საერთო წარსულის სამუდამო შემადგენელი გახდა. ჩვენ დღეს ვქმნით საქართველოს მომავალს! ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულად შენი — ერთი მოქალაქის ხმას, იმისთვის, რომ არჩევნები ჩატარდეს სრულფასოვნად და ნორმალურად. ისე, როგორც ტარდება ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში! განსაკუთრებით, გამორჩეულად მინდა, მივმართო ახალგაზრდობას: ძალიან მინდა, რომ უკვე თქვენმა თაობამ მოასწროს თანამედროვე, დალაგებულ, აწყობილ და მოწყობილ ქვეყანაში ცხოვრება.... ჩვენ არასწორად გვასწავლიდნენ პატრიოტიზმს — ამ სიტყვამ დაკარგა ფასი და მნიშვნელობა. დაკარგა ის საკრალური საწყისი, რაზეც საუკუნეებია იდგა ჩვენი ქვეყანა და აქამდე მოვედით. თუ ჩვენში არ იდება ქვეყნის სიყვარული, პატრიოტიზმის გრძნობა ისეთი, როგორიც გენეტიკურად მოგვდგამს ვერაფერს შევქმნით ღირებულს. თქვენ უნდა შექმნათ — ახალმა სუფთა თაობამ ეროვნული იდეა, ქვეყნის სიყვარულის და პატრიოტიზმის ის კონცეფცია, — რაც არ იქნება ხელოვნური, პროპაგანდისტული და უცხო სხეულივით თქვენს მენტალიტეტზე. პატრიოტიზმი არც სხვა ეროვნებების სიძულვილია, არც ჩოხით სიარული და არც სამშობლოს სადღეგრძელო. ეს განათლებაა, ერთმანეთის სიყვარული, ქართულ გენში გამჯდარი ტოლერანტობის გამოყენება და ის საუკუნეებში გამოტარებული ერთობა, რაზეც ეროვნული „მე“ აშენეს ჩვენმა წინაპრებმა. ხშირად მითქვამს უფროსი თაობისთვის, კონკრეტულად ჩვენი პარტიის აქტივისტებისთვის, რომ ჩვენ ყველა, მთელი გუნდი — ვართ ოცნების ჯარისკაცები. დღეს მინდა, მოგმართოთ თქვენც — ჩვენ ყველა ვართ თქვენი ჯარისკაცები! — ახალგაზრდობის მომავლისთვის მებრძოლი ჯარისკაცები და ამაში ერთიანები უნდა ვიყოთ. მიიღეთ მონაწილეობა თქვენთვის სასურველი მომავლის შექმნაში — აუცილებლად მიდით არჩევნებზე ! თქვენი მონაწილება საერთო პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილია!

ალექსანდრე ჯეჯელავა საარჩევნოდ პედაგოგებზე ზემოქმედებას უარყოფს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა საარჩევნოდ პედაგოგებზე ზეწოლას უარყოფს და ამბობს, რომ დღეს ეს სისტემა დეპოლიტიზებულია.

„დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბსოლუტურად დეპოლიტიზებულია ეს სისტემა. მე შევხვდი 9 000-მდე პედაგოგს და ამის შესახებ პირადად ვუთხარი, რომ ჩვენ ჩვენი სკოლები და მოსწავლეები ყველანაირად უნდა დავიცვათ ამ ხრიკებისგან. რესურსცენტრებთან მქონდა პირდაპირი საუბარი, რომ არც ერთი პარტიის, მათ შორის არც მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან არანაირი აქტივობა სკოლის და სამუშაო საათების კონტექსტში არ უნდა ყოფილიყო. თუ ასეთი დარღვევები იქნება, ჩვენ ამაზე რეაგირებას აუცილებლად გავაკეთებთ ადმინისტრაციულად. მე უპარტიო ვარ და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ჩემი მანდატი არის, თავის დროზე შექმნილი მანკიერი პრაქტიკა სრულიად აღმოიფხვრას. ამ ბრალდებებს ამჟამად არანაირი საფუძველი არ აქვს. შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მასწავლებელი ან კონკრეტული დირექტორი თავისი ინიციატივით რამეს აკეთებდეს და ეს ძალიან მკაცრად დაისჯება. ჩვენ გვჭირდება აბსოლუტურად დეპოლიტიზებული სკოლა, აბსოლუტურად იზოლირებული პოლიტიკური პროცესებისგან“, — განაცხადა ჯეჯელავამ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

„საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №410 დადგენილების თანახმად, 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღისთვის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში სპეციალური საარჩევნო უბნები არ იქმნება. ამავე დადგენილების — „ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთა ამომრჩეველთა სპეციალური სიის შედგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიისათვის წარდგენის, აგრეთვე მათი არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ მე-2 მუხლის ვ) პუნქტის შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსამსახურეები, რომლებიც ვერ ტოვებენ მუდმივი დისლოკაციის ადგილს, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო ნაწილებთან ახლოს განლაგებულ ჩვეულებრივ სამოქალაქო საარჩევნო უბნებზე. ასეთი სულ 1290 სამხედრო მოსამსახურეა.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, არჩევნების დღეს, ყველა განწესის/მორიგეობის ცვლა, შესაბამისი სამხედრო ნაწილის/ქვედანაყოფის მეთაურის ან დაწესებულების/ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ უნდა განხორციელდეს 13:00 საათამდე.

შესაბამისად, განწესში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობა ექნებათ ხმა მისცენ საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილზე სამორიგეო საათების შესაბამისად. თავდაცვის სამინისტროს დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეები, როგორ საქართველოს სხვა მოქალაქეები, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

გამომდინარე აქედან, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან გაკეთებული განცხადება, თითქოს სამხედრო მოსამსახურეებს არ აძლევენ ხმის მიცემის საშუალებას, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ მსგავსი გადაუმოწმებელი და არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან.“

პენიტენციურ დაწესებულებებში 10 საარჩევნო უბანი გაიხსნება

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, დღეს 08:00 საათიდან გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 10 საარჩევნო უბანი გაიხსნება. ასევე, სასჯელაღსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნების დღეს 24-საათიან სამუშაო ცვლაში იმყოფებიან და მსჯავრდებულთა ნაწილი, ხმას მისცემენ გადასატანი ყუთის მეშვეობით მიმაგრებულ უბნებზე, სულ განსაზღვრულია 11 საარჩევნო უბანზე მიმაგრება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა შეუძლიათ ბრალდებულებსა და ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს. გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებებში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 10 საარჩევნო უბანზე ხმას მისცემენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც არჩევნების დღეს 24-საათიან სამუშაო ცვლაში იმყოფებიან უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში.

საარჩევნო პროცესს პენიტენციურ დაწესებულებებში ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმართავს. ხმის მიცემის პროცესს დააკვირდებიან როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო დამკვირვებლები, მათ შორის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში საარჩევნო პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში წარმართვას უზრუნველყოფს.“

„ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შედეგების აღიარებისთვის მზად არის!

„ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შედეგების აღიარებისთვის მზად არის, — განაცხადა ენმ-ის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნები მათთვის არასასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში.

ბაქრაძის თქმითვე, „ნაციონალური მოძრაობა“ არის პარტია, რომელიც არჩევნების შედეგებს ყოელთვის აღიარებდა, მათ შორის დამარცხების შემთხვევაშიც.

საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის საბუთებთან დაკავშირებული პრობლემის, ან სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ცესკო-სთვის საარჩევნო სიების შედგენის მიზნით მიწოდებულ ინფორმაციაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მოქალაქეთათვის დროული დახმარების გაწევის მიზნით, 8 ოქტომბერს, დილის 08:00 სთ-დან, საღამოს 20:00 საათამდე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცხელი ხაზი (995 32 2 40 10 10 იმუშავებს.

2013 წლიდან სააგენტო ინტენსიურად იყო ჩართული ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის სამუშაოებში, რათა მას ცესკო-სთვის ამომრჩეველთა სიებისათვის მოქალაქეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები მაქსიმალურად სრულყოფილად გადაეცა.

ამჟამად ცესკო-სთვის გადაცემულ პოტენციურ ამომრჩეველთა სიაში 3 577 416 პირის მონაცემებია. ამ ეტაპისათვის პოტენციურ ამომრჩეველთა სიაში 2 465 550 მოქალაქე წარმოდგენილია ბიომეტრიული ფოტოსურათით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ოდენობის ამომრჩევლის მონაცემი უტყუარი და დაზუსტებულია. 2012 წელს ამომრჩეველთა სიაში ასეთი მონაცემი მხოლოდ 778.207 იყო. 2013 წლიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით 1 143 148 მოქალაქეზე პირადობის ელექტრონული მოწმობა უფასოდ ან შეღავათიან ფასში გაიცა (უფასოდ გაიცა 952 284), რამაც საარჩევნო სიების მნიშვნელოვანი დახვეწა განაპირობა.

ამომრჩევლებისთვის სერვისების განვითარების სააგენტოს ცხელი ხაზი დღეს 12 საათის განმავლობაში იმუშავებს

ფოტოსურათების დადარება — გადამოწმდა 2 008 432 საქმე; გაუქმდა 488 გაორებული და 151 გაყალბებული დოკუმენტი; გასწორდა 1 399 არასწორად მიბმული სურათი;

გარდაცვალების ფაქტების გამოვლენა და რეგისტრაცია — იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა გარდაცვალების შესახებაც ოჯახებმა თავის დროზე არ განაცხადეს, შედგენილია 3 654 გარდაცვალების ოქმი და გარდაცვლილი (მათ შორის, საზღვარგარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილი) ამორიცხულია მოქალაქეთა ბაზიდან.

მონაცემთა ბაზაში სურათის გარეშე და უხარისხო სურათის მქონე ჩანაწერების შემცირება — აღდგენილია 1 135 ჩანაწერი, 15 ჩანაწერი გაუქმდა საქმისწარმოების დროს აღმოჩენილი გაორების გამო, საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული უსურათო დოკუმენტიდან მოძიებულია და ბაზაში ასახულია 6 566 მოქალაქის ფოტო;

შეუსაბამობა სქესში და არასწორად მიბმული ფოტოების გამოვლენა — შესწავლილია 40 000 ჩანაწერი; შესწორებულია 252 პრობლემური ჩანაწერი;

დოკუმენტების გაცემა საფასურის გარეშე — 2016 წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით უფასო აქციების ფარგლებში გაიცა 343 012 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამ აქციებით მოქალაქეებმა მოაგვარეს საარჩევნო სიაში მოხვედრასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა.

ლევან იზორია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

საქართველოს **თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში აზერ ტოფიგ ოღლუ ჰუსეინს უმასპინძლა. შეხვედრის დასაწყისში მხარეებმა აღნიშნეს, რომ მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უწყობს ხელს.**

განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა თავდაცვის სფეროში სამმხრივი მინისტერიალის ფორმატი იყო, რომელსაც საფუძველი 2014 წელს ჩაეყარა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრების დონეზე იმართება. როგორც ლევან იზორიამ აღნიშნა, სამმხრივი თანამშრომლობა რეგიონის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ფორმატია.

მხარეებმა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებიც განიხილეს. ლევან იზორიამ ელჩს აზერბაიჯანელი კოლეგის საქართველოში ვიზიტის ორგანიზებაში ჩართულობა შესთავაზა.

აზერბაიჯანის ელჩთან შეხვედრას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი და აზერბაიჯანის თავდაცვის ატაშე საქართველოში, პოლკოვნიკი ხაზარ აბასოვი დაესწრნენ.

◎ ისტორიის დეტალი

როგორ ივაუკაცა სომხის ტერტერა სააკაშვილმა გორის გადასარჩენად...

ამ გაგანია არჩევნების ჟამს კიდევ უფრო გამიმწვავდა პატრიოტული გრძნობა და კიდევ ერთხელ გამიწია გულმა აკაკის, ილიას, იაკობისა და სხვა დიდი მამულიშვილების ნააზრევისკენ. ...ღმერთო ჩემო, რა მოწიწებითა და გულისყურით წერდნენ ისინი ერის გულისტკივილზე, ერის საამაყო საქმეებზე თუ ათას ჭირ-ვარამზე!... და, განა მხოლოდ ქართველ გმირებზე და თავდადებულ ერის შვილებზე აფრქვევდნენ დითირამბებს, სხვა ერის შვილებსაც არ ივიწყებდნენ და მადლიერების საკმეველს უკმევდნენ!

დიდი იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ერთ-ერთი ასეთი დიდი მოღვაწე. აი, რა არ გამორჩა მას, როდესაც თევდორე მღვდლის გმირობაზე წერდა.

წმინდა თევდორეზე ბევრი რამე იცის ქართველმა მკითხველმა, მაგრამ ხშირად, დიდი იაკობის ტექსტის ბოლო აბზაცებზე მკითხველები, ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას, არადა...

...გორი არ მოელოდა თათართა ჯარს და მშვიდად ცხოვრობდა!

მაგრამ მტერი მოულოდნელად მოადგა ქალაქს, და აქ მოხდა მეორე გმირობა!

„გარნა აქაც ხელი შეუშალა თათრებს მეორე სასულიერო პირმა. თათრების ჯარის შემოსევაზე გორში სრულიად არაფერი იცოდნენ, ისე მოულოდნელი იყო ყველასათვის ეს შემოსევა. ამიტომ გორიდან არხეინად მოდიოდა სომხის ტერტერა მღვდელი სააკაშვილი სოფელ დუისში, სადაც ქართველებთან სომხებიც ცხოვრობდნენ და მიწერილნი იყვნენ გორის მრევლზე. როცა სააკაშვილი ავიდა ზედა ველის მაღლობს მინდორზე, საშინელი სანახავი გადაეშალა თვალწინ: — თითქმის მთელი ვებერთელა ადგილი მთებსა და მტკვარს შუა მჭიდროდ იყო დაჭერილი თათრის ჯარითა. ელდანაცემმა მღვდელმა სააკაშვილმა ფიცხლავ ცხენი უკან გამოაბრუნა, ჰკრა დეზი და გააჭენა უკან გორისაკენ. მიიჭრა ხალხთან, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: — არიქა მიშველეთ, ხიდი ჩავშალოთ, აგერ მტრის ჯარი მოდისო! და თანაც ხელი მიჰყო ხიდის ჩაფუშვასა. ბედად იქვე შეესწრნენ ხიდისთაველი გლეხები. ესენიც მისცვივდნენ ხიდსა და დაუწყეს სასწრაფოდ ჩაშლა. როცა პატარა ხანს უკან თათრები ხიდს მიუახლოვდნენ, ხიდი ჩაფუშული დახვდათ და ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩაცვინდნენ...

...და გადარჩა გორი! სომეხი მღვდლის გმირობამ გადაარჩინა ქართლის გული და ამ გულს არასოდეს დაავიწყდება სომხის ტერტერა სააკაშვილის სახელი!

ნეტავ, დღეს გვყავდეს ბევრი ასეთი ტერტერა სომეხი...

ზაზა ფილფანი

მრავალი **კითხვა ისმება ამ დღეებში. საით მიდის და სად უნდა მიდიოდეს საქართველო? ვისთან მიდის და რა მიაქვს? — როგორ აისახება ესა თუ ის არჩევანი ხალხის კეთილდღეობაზე? ასეთია დისკუსიების ძირითადი თემები. საგარეოპოლიტიკური სიმპათიების რყევის ამპლიტუდა დიდია. დაწყებული საქართველოს „ბლოკგარეშე“ სტატუსის მქონე ქვეყნად გამოცხადებით (პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“), დამთავრებული თეთრი სახლისადმი წაყენებული პირდაპირი მოთხოვნით — გადაუდებლად განალაგონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზები (რესპუბლიკური პარტია).**

ულელ-ტეხილზე

რას შვრება ამ დროს „ქართული ოცნება“ — პოლიტიკურ ასპარეზზე მთავარი მოთამაშე? მისი ლიდერები თავიანთ მიზნებს არ მალავენ: საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს, მაგრამ ამავდროულად კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა ჰქონდეს რუსეთთან. შესაძლოა თუ არა ეს? „შესაძლებელია!“ — პასუხობენ ქართველი „მეოცნებეები“ და ეკონომიკურ გათვლებს იშველიებენ.

დიახ, სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. „ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ საქმე კიდევ უფრო კარგად იქნებოდა, რომ არა ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა — 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. საქართველოში კი მათ ანექსიას არასდროს შეურიგდებიან, რაშიც ყველა პარტია ერთი აზრისაა.

თუმცა პოლიტიკასაც და ეკონომიკასაც თავიანთი ადგილები აქვს მიჩენილი. ამჟამინდელ პრაგმატულ ხელმძღვანელობას კარგად აქვს გაცნობიერებული: იმაზე, თუ როგორ წარიმართება ურთიერთობები სხვა, პირველ რიგში, მეზობელ ქვეყნებთან, დიდად იქნება დამოკიდებული შინაგანი პრობლემების გადაჭრის მათი უნარი. ხალხს კი რა აღელვებს? ცხადია, უწინარესად, ჯანდაცვის, საპენსიო უზრუნველყოფის, სოციალური დაცვის მდგომარეობა, რომელიც, დამოუკიდებლობის მოპოვების 25 წლის შემდეგ, მეტად არადამაკმაყოფილებელია. თუმცა, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის თქმისა არ იყოს, მართალია, ჭაობიდან ამოსვლა ძნელია, მაგრამ შანსები არის...

რა არის საამისოდ აუცილებელი? პასუხი ქრესტომათიულია: საორგანიზაციო ძალისხმევა, დრო, ფული... და კიდევ მშვიდობიანი ცხოვრება თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილის გარეშე.

სხვათა შორის, დღითი დღე ყველასთვის სულ უფრო მეტად ცხადი ხდება, რომ საბჭოთა კავშირის დამშლელი პოლიტიკოსები ყველაზე ნაკლებად მიილტვოდნენ მიღწეული რეალური სოციალური მონაპოვრების დაცვისა და მომრავლებისაკენ. ხელისუფალთ თავიანთი სადარდებელი ჰქონდათ: ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ჯიბეების გასქელება, მეტის მოხვეჭა. ხოლო როცა გასაყოფი აღარაფერი დარჩა, დაიწყო ქაოსი.

იმ ხანებში საქართველოში პენსია დაახლოებით 7 ლარი (მაშინდელი კურსით დაახლოებით 5 დოლარი) იყო. გახსოვთ, ალბათ, რომ დასავლელი ჟურნალისტების შეკითხვაზე „შეიძლება თუ არა კაცმა რეალურად ამ ფულით იცხოვროს?“ საქართველოს პირველი ლედი ნანული შევარდნაძე ხუმრობას ამოეფარა: „საქართველოში ქალები ისეთი დიასახლისები არიან, რომ შვიდლარიანი პენსიით სტუმარს სუფრასაც გაუშლიან“.

დრო გადიოდა, მაგრამ ბევრი არაფერი იცვლებოდა.

იმედები 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაჩნდა. დიახ, პენსიებმა ოდნავ მოიმატეს, თუმცა კი მათ ზრდას ზღვარსგადასული ინფლაცია შთანთქავდა. თანაც, ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, სააკაშვილის ხალხმა კურსი ცხოვრების ყველა სფეროში კადრების გაახალგაზრდავებაზე აიღო და მოურიდებლად დაითხოვა სამსახურიდან არა მარტო ასაკოვანი, არამედ შუა ხნის ხალხიც. ამ პოლიტიკამ ბევრად გაზარდა თუნდაც მცირედი შემოსავლის მქონე ადამიანთა რიცხვი. გამოცდილება? კვალიფიკაცია? ცოდნა? ყველაფერი ეს „ვარდების რევოლუციის“ ინიციატორებმა ფეხებზე დაიკიდეს...

ამჟამად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები (სააკაშვილის მემკვიდრეები) აბუჩად იგდებენ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის პროგრამას, რომელიც პენსიონერთა შრომითი მოწყობის წინასაარჩევნო კამპანიას ეხება და მათ იაფფასიან პროპაგანდას უწოდებენ. ნაციონალთა ლიდერების თქმით, ოთხი წლის მანძილზე „ქართულმა ოცნებამ“ მრავალი დაპირება გასცა, მაგრამ არაფერი შეუსრულებია. ამიტომ ისინი ვარაუდობენ, რომ ეს პროგრამაც ფარსად იქცევა: ხელისუფლება რამდენიმე თავის ნათესავ-ნაცნობ პენსიონერს დაასაქმებს და ამის გამო დიდ ბაქიბუქს ატეხავს.

მაგრამ, ვინ-ვინ და „ნაციონალებს ნაღდად არა აქვთ იმის უფლება, რომ დღევანდელ ხელისუფალთ მოხუცებზე ზრუნვის თაობაზე უსაყვედურონ, რადგან ცხრა წლის განმავლობაში უფროსი თაობის მიმართ ფაქტობრივი გენოციდის პოლიტიკას ატარებდნენ. ამ დროს ხანდაზმულთა უმრავლესობას ელემენტარული ოპერაციის გასაკეთებელი სახსრები არ ჰქონდა, ბევრმა გროშებად გაყიდა ცხოვრების მანძილზე შეძენილი ქონება, მანქანები, ბინები. თან უამრავმა მათგანმა ისე დაასრულა სიცოცხლე, სამედიცინო დახმარებას ვერ ეღირსა!

ამჟამად საქართველოში ერთი-ორი კვირით ჩამოსული სტუმრები აღფრთოვანებულები რჩებიან სააკაშვილის „მემკვიდრეობით“ — საკმაოდ კეთილმოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურით, აღმაშენებლის რესტავრირებული პროექტით, ბათუმის ახალი ნაგებობებით. მაგრამ, მათ პირდაპირ ვეუბნები — ყველა ეს სასიამოვნო სიახლე იმ რამდენიმე ლარის ხარჯით განხორციელდა, რომლის მიმატება შეეძლოთ, მაგრამ არ მიუმატეს ასიათასობით გაუბედურებულ და მომაკვდავ მოხუცს!

დღევანდელ ხელისუფალთ ბევრი აქვთ სასაყვედურო, მაგრამ რეალობაა, რომ თავიანთი მუშაობის დაწყებიდან პირველსავე თვეებში მათ ჯანდაცვის ისეთი სისტემა დაამკვიდრეს, რომელიც ათასობით მოქალაქეს მომავლისთვის თვალის უშიშრად გასწორების საშუალებას აძლევს. თავად სისტემა, ცხადია, ჯერ ბოლომდე სრულყოფილი არ არის, მაგრამ მთავარი სხვაა. დღეს ავად გახდომა და საავადმყოფოში მოხვედრა ქონების დაკარგვის ტოლფასი სულაც არ არის, ხოლო მისი უქონლობის შემთხვევაში, გარდაუვალ სიკვდილს არ ნიშნავს, როგორც ეს სააკაშვილის დროს იყო.

ოპონენტები „ქართულ ოცნებას“ იმის გამოც კი საყვედურობენ, რომ ჯანდაცვის ხარჯი მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს.

„დიდი ამბავი, ერთი-ორი ასეული კაცი საიქიოს გზას თუ გაუდგებოდა!“ — თავისუფლად შეეძლო ეთქვა ყოფილ მმართველი პარტიის რომელიმე ლიდერს. ეს სულაც არ არის ავტორის ვარაუდი-ჰიპერბოლა. ყველას გვახსოვს: 2009 წელს, მუხროვანის ბატალიონის „ამბოხის“ დროს, ვანო მერაბიშვილი უკმაყოფილოთა ორ-სამ გვამს როგორ ითხოვდა! სამწუხაროა, მაგრამ ადამიანის სიცოცხლისადმი ასეთი დამოკიდებულება არაერთ „სახელმწიფო“ გადაწყვეტილებას ედო საფუძვლად. „ქართული ოცნების“ მთავრობამ სხვა გზა აირჩია — ადამიანური და საკუთარ თანამოქალაქეთა მიმართ პატივისცემით აღსავსე.

რაც შეეხება ეკონომიკასა და პოლიტიკას, მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ზოგჯერ ადვილი საქმე არ არის. ისევე, როგორც ის, რომ თურმე ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების განთავსება ძლიერ დაგვეხმარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში. ძალით დღესდღეობით ცოტა ვინმე თუ ბრუნდება უკან. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საიმედოა, რომ ერთიან სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თანაცხოვრება ყველასთვის მიმზიდველი გახდეს. იქნება შემთხვევითი არ არის, რომ ამჟამად საქართველოში მკვიდრდება აზრი, რომ საჭიროა არა ტერიტორიების, არამედ ყოფილ თანამოქალაქეთა დაბრუნება. რა უნდა მოიმოქმედოს საამისოდ სახელმწიფომ? აქაც პასუხი ქრესტომათიულია: რაც შეიძლება ხშირად გაახსენდეს თავის მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთა ელემენტარულ ყოფაზე ზრუნვა.

ვადიმ ანასტასიადი

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

ვინ რამდენს და რაში დახარჯავს გაისად

ქვეყნის მომავალი, 2017 წლის ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფუძემდებლური დოკუმენტი — „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი ქვეყნის პარლამენტს განსახილველად სექტემბრის მიწურულს გადაეგზავნა. მისი ავ-კარგის განსჯა, ცალკეულ მუხლთა თაობაზე კამათი და სხვა — ახლადარჩეულ დეპუტატთა პირველი, თანაც უდიდესი მნიშვნელობის მქონე საჯილდაო ქვა იქნება და ამ ბატალიებმა თვალნათლივ უნდა დაანახოს ხალხს, თუ ვის მისცა ხმა წლევანდელ ოქტომბრის არჩევნებში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, 2017 წელს შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მილიარდ 715 ლარით განისაზღვრა, მათ შორის საგადასახადო შემოსავალი 8 მილიარდ 710 მილიონი ლარი იქნება, რაც მთლიანი შიდა პროექტის 22,3 პროცენტია. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები, ექსპერტთა გათვლიათ, 10 მილიარდ 555 მილიონი ლარის დონეზე უნდა იყოს, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრების ოდენობა 9 მილიარდ 520 მილიონ ლარს, გრანტები — 135 მილიონ ლარს, ხოლო კრედიტები 900 მილიონ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯის მთლიან მოცულობას, ის 8 მილიარდ 787 მილიონი ლარი იქნება, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე გამოიყოფა მილიარდ 442,8 მილიონი ლარი, საქონლისა და მომსახურების შეძენაზე — მილიარდ 105,6 მილიონი ლარი, სუბსიდიებზე — 300,4 მილიონი ლარი, გრანტებზე — 993,3 მილიონი ლარი, სოციალურ და სესხების პროცენტულ უზრუნველყოფაზე, შესაბამისად 3 მილიარდ 223,4 მილიონი და 450 მილიონი ლარი, დანარჩენ ხარჯზე კი მილიარდ 271,4 მილიონი ლარი.

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, წლევანდელისგან განსხვავებით, როცა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3 პროცენტის დონეზე იყო განსაზღვრული, მომავალ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა 4 პროცენტის დონეზეა დაგეგმილი. ერთ სულ მოსახლეზე ეს პარამეტრი, სავარაუდოდ, დაახლოებით 600 ლარით მოიმატებს და 9813 ლარს მიაღწევს.

ბუნებრივია, რომ ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობისთვისაც მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან სწორედ ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკაში შემოდინებული უცხოური კაპიტალის დონის მატება, ახალ საწარმოთა აგება, ამის შედეგად, სამუშაო ადგილების რიცხოვნობის ზრდა და, შესაბამისად, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დროს, სპეციალისტებმა როგორც წლევანდელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის განვლილ პერიოდში დინამიკა, ასევე მომავალი წლის პროგნოზები გაითვალისწინეს, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4,5 პროცენტის, ანუ მშპ-ს მატება — 4 პროცენტის ფარგლებშია ნავარაუდევი. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, გაისად ნომინალურ მშპ ფულადი გამოხატულებით 36,6 მილიარდი ლარი უნდა იყოს.

ისევე, როგორც შარშან და წელს, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯის ლომის წილი მოსახლეობის ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მოდის. ამ მიმართულებებზე ბიუჯეტის მთლიანი ოდენობის 31,5 პროცენტი დაიხარჯება, რაც თანხობრივად 3 მილიარდ 330 მილიონ ლარს შეადგენს. მათ შორის გათვალისწინებულია, კერძოდ: სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა, რისთვისაც 2 მილიარდ 413 მილიონი ლარი დაიხარჯება; ჯანდაცვის პროგრამებისთვის — 831 მილიონი ლარი; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისთვის — 30 მილიონი ლარი. ასევე აღსანიშნავია, რომ გაისად კვლავაც გაგრძელდება C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტირება, მათ შორის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესების მონიტორინგებისთვის აუცილებელი კვლევების უზრუნველყოფა. ამ მიზნისთვის ბიუჯეტში 20 მილიონის გამოყოფაა გათვალისწინებული.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის ზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის შემდგომ გაფართოება-გაუმჯობესებას, მხარეებში მის გაშლას. ეს პროცესი ასევე დიდად მნიშვნელოვანია საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციის თვალსაზრისითაც. ამიტომაც ბიუჯეტში ესეც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის კანონპროექტში გათვალისწინებულია მილიარდ 86,4 მილიონი ლარის გამოყოფა, საიდანაც, კერძოდ, უნდა დაიხარჯოს: საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე — 663 მილიონი ლარი; რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე — 217,8 მილიონი ლარი. გარდა ამისა, 100 მილიონი ლარით გაიზრდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ხარჯი, რომელიც 379 მილიონ ლარს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის სოფლის მეურნეობაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გაისად მისი დარგების დაფინანსება, წლევანდელთან შედარებით, რამდენჯერმე გაიზრდება. ეს მოხდება როგორც საბიუჯეტო სახსრებით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხებისა და გრანტების, კერძოდ, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ხარჯზე. დიდი როლი ეკისრება სოფლის მეურნეობის ფონდის ეფექტიან მუშაობას, ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება აგრარული განათლების ხარისხის ზრდას, — ნათქვამია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტში.

გაისად სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 238,1 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც, სხვასთან ერთად, ითვალისწინებს გარკვეული სახსრების გაღებას სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებაზე, რისთვისაც გამოყოფილია — 68,1 მილიონი ლარი, შეღავათიან აგროკრედიტებზე — 42 მილიონი ლარი, რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებებზე — 25 მილიონი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკისთვის განკუთვნილ სესხებსა და ლიზინგზე — 16 მილიონი ლარი და სხვ.

მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტში გათვალისწინებული კიდევ ერთი საგულისხმო პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის მნიშვნელობაზე არაერთხელ თქმულა ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან, რა დროსაც ხაზგასმით აღინიშნებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული კვალიფიციური კადრების შენარჩუნებისა და ახალგაზრდობის აღზრდის უდიდესი მნიშვნელობა, ჩვენში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობა, ერთიანი მეთოდოლოგიების შემოღება, სწავლების ხარისხისა და ცოდნის დონის ამაღლება და სხვ., ზემოჩამოთვლილ და სხვა მიზნების მისაღწევად, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია მილიარდ 25 მილიონი ლარის გამოყოფა, კერძოდ: ზოგადი განათლების დასაფინანსებლად — 609 მილიონი ლარი; სკოლის პედაგოგთა გაზრდილი ხელფასების დასაფინანსებლად — 13,5 მილიონი ლარი; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებისთვის — 178,4 მილიონი ლარი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის — 89,1 მილიონი ლარი.

რაც შეეხება სხვა სამინისტროებსა და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებლად გათვალისწინებულ ხარჯს, მათთვის, კერძოდ, გამოიყოფა: თავდაცვის სამინისტროსთვის — 743,2 მილიონი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის — 585 მილიონი; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის — 110 მილიონი ლარი; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის — 146 მილიონი ლარი; ენერგეტიკის სამინისტროსთვის — 121 მილიონი ლარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის — 97,5 მილიონი ლარი (მათ შორის, პროგრამისთვის „აწარმოე საქართველოში“ — 19,7 მილიონი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის — 105,6 მილიონი ლარი; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის — 96,5 მილიონი ლარი; იუსტიციის სამინისტროსთვის — 65,6 მილიონი ლარი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადასახლებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის — 85 მილიონი ლარი; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის — 98,3 მილიონი ლარი; ფინანსთა სამინისტროსთვის — 85 მილიონი ლარი.

ასევე გარკვეული თანხებია გათვალისწინებული მაღალმთიანი რეგიონებისთვის (20 მილიონი ლარი), მთავრობის სარეზერვო ფონდისთვის (50 მილიონი ლარი) და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისთვის (5 მილიონი ლარი).

ოთარ ტურაბელიძე

სს „კავკასიის განვითარების ბანკი-საქართველოს“ იმ კრედიტორ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც არ გამოცხადდნენ საკუთარი სახსრების მისაღებად

ლიკვიდაციის პროცესთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ მიმართოთ ბანკის ლიკვიდატორს სს „კავკასიის განვითარების ბანკი — საქართველოს“ ანგარიშებზე რიცხული კუთვნილი თანხების მიღების მიზნით. ამასთან, თუ 5 დღის განმავლობაში არ მოახდენთ თქვენი კუთვნილი თანხების ბანკიდან გატანას, მაშინ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37—ე მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ „მე—4 მუხლის მე—11 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, კრედიტორთა თანხების აკუმულირება მოხდება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სს „კავკასიის განვითარების ბანკი — საქართველოს“ კრედიტორთა მოუკითხავი თანხების ანგარიშზე, საიდანაც შეძლებთ თქვენი კუთვნილი თანხების შეუფერხებლად მიღებას.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37—ე მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე—7 მუხლის მე—9 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, იგეგმება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის მიერ საქმიანობის საგნის შეცვლა და არასაბანკო საქმიანობის საზოგადოებად გარდაქმნა. თუ აღნიშნულ საკითხზე 5 დღის განმავლობაში თქვენი პოზიცია არ დაფიქსირება, თქვენი მხრიდან თანხმობა ავტომატურად ჩაითვლება გაცემულად. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, თქვენი კუთვნილი თანხები არ დარჩება გარდაქმნილი ორგანიზაციის ბალანსზე, არამედ აღნიშნული თანხები განთავსდება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სს „კავკასიის განვითარების ბანკი — საქართველოს“ კრედიტორთა მოუკითხავი თანხების ანგარიშზე, საიდანაც შეუფერხებლად მოხდება მათი გაცემა.

პატივისცემით,
ლიკვიდატორი
როინ ცაცია შვილი

ყველაზე მეტი ქართული ღვინო რუსეთში შედის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, წლის იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 32 421 418 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 35%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 74,6 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 12%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე. ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (17056936), ჩინეთი (3852245), უკრაინა (3457028) , ყაზახეთი (2535163) და პოლონეთი (1633514).

ამასთან, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 016 653 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 34%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 13,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების — ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ს აღწევს. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 126 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 9 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 99,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა — ზრდამ 26,5% შეადგინა.

იაკობ გოგებაშვილის სცენური სახება

პრემიერა გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში

წლევანდელი სეზონი **გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულმა** თეატრმა პრემიერით დახურა და გახსნა: **იაკობ გოგებაშვილის** ცხოვრების ქარგაზე აგებული **როსტომ ჩხეიძის** პიესის **„იის სურნელი თოვლში“** მიხედვით **სოსო ნემსაძის** მიერ ხორცშესხმული დადგმით.

სეზონის დახურვას გამოეხმაურა **იოსებ ჭუმბურიძე** ესეით **„იები თოვლში და ჰაე, როგორც ამოსუნთქვა“** (**„საქართველოს რესპუბლიკა“**, 2016, 27 ივლისი), საუკეთესო, ქრესტომათიული ნიმუშით, თუ როგორ უნდა გაიაზრებოდეს და ფასდებოდეს თეატრალური მოვლენა, ჟურნალისტს ერთი ნიუანსიც რომ არ დარჩენია შეუნიშნავი და ჭეშმარიტი ოსტატობით შეძლო არცთუ დიდი მოცულობის თხზულებაში ყველაფრის ჩატევა, წარმოაჩინა სპექტაკლი როგორც ესთეტიკური, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენა.

სეზონის გახსნამაც არანაკლები ცნობისწადილი და შთაბეჭდილება გამოიწვია და არ გვიკვირს, გარდა გორელებისა, თბილისიდან და ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა მაყურებელმაც რომ იხილა.

ეს ის დადგმაა, რომელშიც ყველა მონაწილე, „დიდი“ თუ „პატარა“ როლის შემსრულებელი თავის დანიშნულებასა და მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს და ამიტომაც გვსურს ყველას გვარ-სახელი მოვიხსენიოთ: რეჟისორი იქნება — **სოსო ნემსაძე**, მხატვარი — **აივენგო ჭელიძე**, კოსტიუმების მხატვარი — **ბარბარა ასლამაზაშვილი**, კომპოზიტორი — **მამუკა მეგრელიშვილი**, ქორეოგრაფი — გია მარღანია, ვოკალი — **ლელა მერაბიშვილი**, ტექნიკური რეჟისორი — **სოფი დრულევი**, მგალობელთა გუნდი — **მარიამ კაპანაძე, ელენე კაპანაძე, თამარ კაიშაური, ქეთი ლაზარაშვილი**, თუ მსახიობები: **სოსო მგალობლიშვილი** (იაკობ გოგებაშვილი), **კობა კოპაძე** (მოხუცი იაკობ გოგებაშვილი), **შოთა ხანჯალიაშვილი** (ვასილ ბარნოვი), **კახა ბერიძე** (გაბრიელ ეპისკოპოსი), **ლევან როსტომაული** (ნიკო ცხვედაძე და სემინარიელი), **კონსტანტინე კახიშვილი** (სანდრო ცხვედაძე), **ზვიად მაღალაშვილი** (ანტონ ფურცელაძე), **ლევან ჯამბრიშვილი** (ნიკო ლომოური და დიმიტრი ბაქრაძე), **ზურაბ ხინჩიკაშვილი** (იოსებ მამაცაშვილი), **სოფია მაიერი** (დარო მამაცაშვილი), **მაკა შალიკაშვილი** (ბარბარე მამაცაშვილი), **ანი ჩოგოვაძე** (ელენე მამაცაშვილი), **გიორგი მაყაშვილი** (ვახტანგ თულაშვილი), **მარი არღუთაშვილი** (უცნობი ქალი), **ამირან ქაჯაია** (მეფისნაცვალი), **ზაზა ცარულაშვილი** (კანცელარიის უფროსი), **მერაბ ჭანკოტაძე** (სასწავლებლის დირექტორი), **ქიშვარდ მანველიშვილი** (მასწავლებელი), **მერაბ მეზურნიშვილი** (მასწავლებელი), **გიორგი ჩოჩნიძე** (სემინარიელი და მეფისნაცვლის მდივანი), **ზურაბ პავლიაშვილი** (ჯაშუში) და **ჯემალ ჭულუხაძე** (ჯაშუში).

სავსებით ბუნებრივია ამ სპექტაკლის ასეთი წარმატება, ნიშანდობლივი გორის თეატრისათვის და განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც თეატრს სათავეში ჩაუდგა სოსო ნემსაძე. და კიდეც დაიდგა ერთმანეთზე უკეთესი სპექტაკლები — დრამებიც, ტრაგედიებიც, კომედიებიც. მთელი გორი ჩაერთო თეატრის ცხოვრებაში და შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ზედიზედ დაჯილდოვდა ეს სპექტაკლები, გრან-პრითაც რომ აღინიშნა.

* * *

პრემიერის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მაყურებელს ვთხოვეთ შთაბეჭდილების გაზიარება:

ელგუჯა თავბერიძე (მწერალი და გამომცემელი ქუთაისიდან):

„გორის თეატრში როსტომ ჩხეიძის პიესის „იის სურნელი თოვლში“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლზე იოსებ ჭუმბურიძის მრავლისმთქმელი წერილი რომ წავიკითხე „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, საინტერესოს ველოდი.

ნეტავ ყველა მოლოდინი ასე გამიმართლდეს.

ძალიან დინამიკური, ექსპრესიული, ფიქრის აღმძვრელი სპექტაკლია (ასეთია პიესაც), საოცარი დამაჯერებლობით, ბუნებრიობით თამაშობენ მსახიობები.

სცენიდან ისმოდა ქართული სიტყვა, მართალი, უბრალო, დამაფიქრებელი, ტრაგიკული ყოფის დამხატავი.

ნაღდი უშუალობით იძერწებოდა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი ხატება — შეუდრეკელი, მოუთოკავი, მიზნისკენ მიმსწრაფი, თხემით ტერფამდე ქართველი და მისხლობით ქართულის მაძიებელი.

თურმე შეიძლება დიდ ქართველთა სცენური გაცოცხლება, თანაც ძალიან სახიერად, სულში ჩამწვდომად, მისი სულიც რომ განათდება, სხეულიც ჩაგრჩება ხსოვნაში, გული აგედევნება, არ მოგასვენებს.

არ იფიქროთ, მარტო მთავარი როლი იყო შთამბეჭდავი, ყველა სახე ძალიან ცოცხლად, ძალიან მორგებულადაა გასცენიურებული.

იაკობის მერე ვის გამოყოფდითო, რომ მკითხოთ, პასუხი გამიჭირდება. გაბრიელ ეპისკოპოსი, მთავარმართებელი, სკოლაში შიშნასა და შხვეპლას დამამკვიდრებლები, ვასილ ბარნოვი, სანდრო ცხვედაძე, დარო მამაცაშვილი და... რომელი ერთი.

ძალიან ანსამბლურად სახიერდებოდა დიდ ქართველთა ფიქრი და განაზრახი.

მომეწონა, აღვფრთოვანდი, სპექტაკლში მოძრაობა მოძრაობას რომ ჰგავდა, დღეს ხომ (თუნდაც დრამაში) უმეტესად პანტომიმები უყვართ, შოუებს ეტრფიან, საქვეყნო წუხილით გაჯერებულ ტექსტებს ახლოსაც არ ეკარებიან.

სცენაზე სახიერდებოდნენ პიესის გმირები და არა რეჟისორის გააზრებები. მოკლედ, სოსო ნემსაძემ მაქსიმალურად შეინარჩუნა მაღალი მხატვრული ღირებულების, ღრმა ფიქრის დამტეველი ტექსტი, ამითაც გამოირჩეოდა ეს სპექტაკლი.

იქნებ ამ სპექტაკლით დაიწყოს ქართული პოლიტიკური თეატრის აღორძინება.

იქნებ“.

ლია კუხიანიძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგი ქუთაისიდან):

„იისფერ ფონზე სიფრიფანა, ულამაზესი იაა გამოხატული, ქვემოთ კი თეთრი ასოებით აწერია „იის სურნელი თოვლში“. ეს თეატრის ახალი სპექტაკლის პროგრამაა, სპექტაკლისა, რომლითაც თეატრმა სეზონი გახსნა და რომლისგან მოგვრილი სიამოვნება, გულის მღელვარება და სევდაც დიდხანს გამყვება.

ეს იყო თვალისა და გონებისათვის ერთნაირად დაუვიწყარი სანახაობა, მხოლოდ თავისი საქმის პროფესიონალებისაგან ხორცშესხმული პიესა კი არა, მამულიშვილებისგან შექმნილ-გაცოცხლებული ტკივილი, რომ-

ლის განცდამაც მაყურებელი და მსახიობები ერთ გუნდად აქცია.

როსტომ ჩხეიძე წარსულს მხოლოდ ისტორიის შესახსენებლად როდი მიმართავს, წესისამებრ, მისით აწმყოს უფრო მძაფრად შეგვაგრძნობინებს და რეჟისორმაც შეძლო მაყურებელს ეს განწყობა დაუფლებოდა.

არ ვიცი, რომელი ერთი გამოვყო: სპექტაკლის არაჩვეულებრივი ქარგა, მსახიობების მიერ ანბანის თითო ასოს წარმოთქმა ისე, ამაღელვებელ, მრავლისმთქმელ განცდას რომ აჩენდა მაყურებელში, მათი სადა, მაგრამ დროისა და ხასიათის გამომხატველი კოსტიუმები, კარგი მუსიკალური გაფორმება და მხატვრობა, ქორეოგრაფია და სიმღერები, და თავად მსახიობები: მგზნებარე ახალგაზრდა იაკობი და უკვე ასაკოვანი, ავადმყოფი — ორი მსახიობი, მაგრამ მათი შესანიშნავი თამაშის გამო ერთ გმირად, ერთ ხასიათად აღქმული პერსონაჟი, ბრძენი გაბრიელ ეპისკოპოსის გამცოცხლებელი მსახიობი, შესაფერი ღირსებით რომ წარმოადგინა თავისი გმირი, მეფისნაცვლის როლის შემსრულებელი, თავად რომ ჰგავდა მშობელ იმპერიას, მზაკვრობით, ვერაგობით, უძრაოობით და მისი ყოველი ამოსუნთქვა-ამოხრიალებით; მისი კოხტაპრუწა მდივანი, სასწავლებლის დირექტორი და მასწავლებლები, ჯაშუშები და სემინარისტები, მამაცაშვილთა სალონის ქალები და ვაჟები, დიდი ქართველები: ცხვედაძეები, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი, შეყვარებული ქალები და მგალობლები — ყველანი იყვნენ არაჩვეულებრივად გულწრფელები, ნამდვილი პროფესიონალები. აღარას ვამბობ სპექტაკლის დასასრულზე, როცა ანბანის თითო ასოს განმეორება მაყურებლისადმი საქვეყნო ტვირთის შესრულების ვალდებულების შეხსენება იყო.

ნამდვილად ღირდა ქუთაისიდან გორში ჩასვლა ამ არაჩვეულებრივი სპექტაკლის სანახავად“.

თამარ ყალიჩავა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისიდან):

„რამდენადაც უფრო დიდია ხალხის სიღარიბე, იმდენად უფრო ესაჭიროება სკოლა, რომელიც სამართლიანად ითვლება სიღარიბის უებარ წამლადო, ამბობდა იაკობ გოგებაშვილი და შექმნა კიდევაც...

გული როგორ არ გაგვისკდეს, როდესაც, ამ ორი საუკუნის განმავლობაში, იაკობის სკოლის განადგურების მეტი არაფერი გვიკეთებია.

ილუზიებით, სუროგატით ჩანაცვლებული ღირებულებებით, უზნეობით გაბრუებული ადამიანი, ვინც ლამის ყველა სიქველისაგან დაცლილა, ძნელად გაითვალისწინებს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში გახმიანებულ სიბრძნეს, აპოლონის ტაძარზე ამოკვეთილ წარწერას — „შეიცან თავი შენი!“...

მაგრამ ვიდრე საკუთარი თავის შესაცნობად მოვემზადებით, გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლი — „იის სურნელი თოვლში“ — ვნახოთ (ერთხელ ნახვა ნამდვილად არაა საკმარისი).

დიდი მადლობა ავტორს, რეჟისორსა და მთელ შემოქმედებით გუნდს, ვინც ასეთი არაჩვეულებრივი საღამო გვაჩუქა...

აკაკი წერეთელი ამბობდა, იაკობი ღირსია, ხალხმა სიცოცხლეშივე დაუდგას ძეგლიო.

თქვენი ნებართვით, ამ სპექტაკლს ვიგულისხმებ ღირსეულ ძეგლად, ღირსეული შთამომავლებისაგან...“

* * *

არაერთმა **მაყურებელმა გამოთქვა სურვილი, რომ აუცილებელია „იის სურნელი თოვლში“ თეატრმა გასტროლებით მოატაროს მთელ საქართველოში, რადგან ეს ის დადგმაა, რომელიც ძალიან ესაჭიროება დღესდღეობით ყველას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას — შემეცნებითადაც, მხატვრული ძალმოსილებითაც.**

სცენაზე ხორცშესხმულმა იაკობ გოგებაშვილმა მართლაც უნდა შემოიაროს ის საქართველო, რომლის გადარჩენასაც მთელი სიცოცხლე შეალია და კიდეც მოახდინა სასწაული: გარუსების გზაზე დამდგარი ყმაწვილები მშობლიურ წიაღს დაუბრუნა სკოლის გაქართულების წყალობით.

დაე კიდევ ერთხელ მივადევნოთ თვალი, რა კაცნი გვყოლია, რა პატრონნი, რა სულიერი ძალ-ღონისა და თავგანწირვის პიროვნებანი მოვლენოდნენ ჩვენს ქვეყანას საბედისწერო ჟამს.

ვახტანგ გორგასლიძე,
გორიდან.

რა არის თვალთმაქცობა

სიტყვა თვალთმაქცი გაცილებით მეტ სიავეს იტევს, ვიდრე ერთი შეხედვით თვით ეს სიტყვა გვეუბნება, რადგან აქ, უბრალოდ სიცრუეს კი არ განასახიერებს, ან ადამიანური ცბიერებით ავსებულ თვალთმაქცობას, არამედ ეს სიტყვა ბნელი ძალებიდან ამოსული ბოროტების სახელია, ამ სახელის მატარებელშია ჩათესილი და იქ მძვინვარებს საშინელი მაცდურობით, ეშმაკის პოტენციის მქონე მაქციად გადაქცეულ ძალად, რომელი ძალაც როცა ადამიანში შედის, იპყრობს მას და იგი ადამიანურობის მაქცევარ ბოროტ არსებად გადაიქცევა. თვალთმაქცი ჩვეულებრივი მოქალაქეა, ჩვენს გვერდით ცხოვრობს, მაგრამ ეშმაკის პრაქტიკული საქმიანობის ღვაწლის გამწევი ორეულია, სიკეთისა და სათნოების მტერია, ამაღლებული სულის დამანგრეველი უზნეობაა, სიყვარულით ავსებული იმ დიადი შენობის საძირკვლის გამომთხრელი, რომელიც აგებულია მიწიერი და ღვთიური სიწმინდის ჰარმონიით და რამაც კაცობრივი სულისკვეთებისა და ღვთაებრივი ნების შერწყმის შედეგად ადამიანი ღვთის ხატად აქცია.

თვალთმაქცი იგივე ეშმაკია, სხეულებრივად ჩანერგილი ადამიანში, განკაცებული სიავეა, ისე რომ იგი, როგორც ადამიანი აღარც არსებობს! და ადამიანურობას, ცხოვრებისეულ სიავკარგესთან ერთად ისევ თვალთმაქცური ლოგიკით განიხილავს, ამავე ლოგიკით ამართლებს. ადამიანები და პიროვნების თავისუფალი ნება შეპყრობილი ჰყავს. თვალთმაქცთა შორის განსხვავება ისაა, რომ თუ რამდენად ესადაგებიან ისინი ბნელ ძალებს. სააკაშვილში თვალთმაქცობა სრულყოფილადაა განხორციელებული და ამით იგი, რა თქმა უნდა, მსოფლიოში პირველია ქართულ ეთნოსში.

თვალთმაქცი მთავარი

„მის ბაგეთა სიტყვები სიცრუე-სიყალბეა, ჭკუა არ ყოფნის, რომ კეთილი ქმნას, უსამართლობას ფიქრობს თავის სარეცელზე, უკეთურ გზას ადგება, ბოროტს არ თაკილობს“, ფს. 34, 4, 5.

„კაცთმოძულეა და კაცთმოყვარის ნიღაბს იფარებს; უკიდეგანო, უძირო სიცრუის ნიაღვარში გაღრჩობს; არც ერთი მისი სიტყვა სანდო არაა.

1. არა ზნეობა და გულწრფელობა,
აღორძინება ქართულ ბუნების.
მისთვის მთავარი არის ღრეობა
ქართული სულის დაძაბუნების!
2. თუ კი დასჭირდა, სკამის გულისთვის
კასკადს მოაწყობს წიწამურების,
გუშინწინ, გახსოვთ? როგორ გაწირა
ზურაბ ჟვანია ავი ცდუნებით?!
3. სიყვარულს გიხსნის და თან დაგცინის,
გხიბლავს იაფი ჭიანურებით,
თავისუფლებას გვართმევს თვალთმაქცი
ტყვიებით, ცილით და მაცდურებით.
4. უყვარხარ მანამ, სანამ თავსდები
მონური სულის მდაბიო წრეში
და შეგიძულებს, უმალ, იმავ წამს,
თავისუფლებას თუ იგრძნობს შენში,
5. მის მრისხანებას არ აქვს საზღვარი,
და გხვრეტს ნულოვან ტოლერანტობით,
თუ გაუჭირდა სულ დაგიტკბება
სულის ოხრობით – პირმოთნეობით,
ძირს გაგეგება ენის მოჩლექით –
გულის ამრევი ოინბაზობით,
მრცხვენია, მაგრამ პოლიტიკური
სუტენიორი ყარს ოღრაშობით.
6. ღიმილით გვიცქერს, თეთრ კბილებს გვიჩენს,
ფარისევლობის რეკორდს ამყარებს,
„ისე მიყვარხართ, სიზმრებში გხედავთ...“
აღუა ბავშვის გვიყვება ზღაპრებს.
7. მაგრამ იცოდე, ვერ გიტანს, სძულხარ!
რადგან სიმაღლეს შენსას ვერა ფლობს,
და ამიტომაც არ სჯერა შენი,
ღირსეულს უღირს ფიქრებს ვერ განდობს.
თვით ღვთაებრივი რამაზ ჩხიკვაძე
უაზროდ ჩხრიკა, გული დასწყვიტა!
და იცით რატომ? რად შემოუწყრა?
სინდისის ძარღვი არ გაიწყვიტა!
8. მისთვის ჭაბუა არარა არის,
ვინც წმინდა წიგნი გვიძღვნა ქართული!
თამაზი, რეზო, მერაბ, ოტია,
ნონა, ნაირა, ანა – ღვთის წული!
ბიძინა, ნოდარ, გურამ, გოდერძი,
ქეთი, ნინელი, ყველა ზნესრული!
ოთარ, ერეკლე, რატი, რობერტი
და კიდევ ვინ ვთქვა ცაში ასულ?!
9. უხვად არიგებს ცრუ დაპირებებს
და თვალთმაქცობის ცბიერ ფანტომებს!
არ დაუჯერო – მას არ უყვარხარ,
სძულხარ! თუ კიდევ ოდნავ აზროვნებ!
10. შეხედე როგორ ჩამოსდის ცბიერს
ფაფუკ ლოყაზე ობოლი ცრემლი,
თვით ბელზებელი ბავშვობად მოჩანს
თვალთმაქც მოძღვართან უგუნურ მრევლის.
11. სივერაგეში სატანას ჩაგრავს,
სიბრძნის ნაკლული ლამაზი გველი,
სიმამაცეში – ლაჩარი, მხდალი,
მთავარსარდალი პირქვე მძრომელი,
მართლმსაჯულების დამამხობელი,
უღირსი სულით ღირსების მკვლელი,
ქართული სულის მალული მკვლელი,
კაცის მკვლელი და კაცობის მკვლელი.
12. და როცა ამბობს თვალთმაქცი ფიცით:
„მე საქართველო ძალიან მიყვარს“,
ზუსტად იმ წუთში გიმზადებს მახეს,
შეხედე კარგად, ჩასწვდი მის სახეს,
რადგან ნივთი ხარ მხოლოდ იმისთვის,
ისე გიყურებს, როგორც ანტიკვარს,
რომ მერე ისე ძვირად გაგყიდოს,
რომ მოეწონოს თავის საფიცარს!
ჯორჯ ბუშს, ბრაიზას, სოროსს, მათიუშს
და, ალბათ, სხვასაც მტერს და მაცინარს!
13. რაინდის ქართულ, უსაზმნო ნდობით
ვეღარ გამოველთ ტანჯვა-დაგვიდან,
გუშინ არ იყო, რომ რუსმა ჩვენი
გულუბრყვილობით სარმა დაგვიდვა?
14. მაგრამ სამშობლომ ჯერაც არ იცის,
ახალ დამპყრობელს რომ ვეზმანებით
და იმპერიის ახლის მონობით,
შიგ ჯოჯოხეთში მივექანებით!
15. და ამიტომაც ქვეყნის ჩამშვები
სხვათა გლობალურ ინტერესებში,
უნდა ვამხილოთ სააკაშვილი,
ჯიქურ აშკარად, მიტინგზე, მრევლში.
16. უნდა ვამხილოთ სიცრუის მეფე,
ბრიყვი ყვარყვარე და ბილწი მხეცი,
სულწაწყმედილი მარიონეტი,
„წყეული თხების“ ბელადი ბეცი.
ვამხილოთ ფხიზლად თვალთმაქცის ბრენდის
შხამი სოფელში, ხალხში, ვებ-გვერდში,
უნდა ვამხილოთ თუ შეგვრჩა შუბლზე
სინდისის ძარღვი და გული მკერდში!
17. მე არ დავწყევლი, არ მეხერხება,
თვითონ იგია წყევლა და კრულვა.
ჩამშვებიც, ქურდიც, ინსპირატორიც
და პოლიტიკურ სანაგვის ურნაც.
18. მაგრამ განკითხვის უფლება არ მაქვს
და თუ შევცოდე ამ მრისხანებით,
აღვუთქვამ უფალს გამოვისყიდო
მონანიებით და შეყვარებით
და პატიებით ვამხილო, გულზე
შურისძიების არ მიკარებით!
19. ვამხილო მამრის უებრო ღვაწლით,
უმანკოესი გულის ნადებით,
თუნდაც საკუთარ სიცოცხლის ფასად,
და არა ზვავით და ანგარებით,
ოღონდ გაბრწყინდეს ქართული მიწა
ამ განსაცდელის გამოტარებით
და გაიხაროს სამშობლოს ზეცამ
შავი ღრუბლების გამოდარებით!

2007 წ. დეკემბერი

ეშმაკეული გზით მავალთ!

ის, ვინც ცილს სწამებს, პირდაპირ დემონს ემსახურება

უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე

1. თუ ისმენ, ძმაო, სამების წირვებს,
კითხულობ წერილს სიწმინდით გზავნილს,
მაშინ რა ჭინკის და რა დემონის
გიპყრო ცდუნებამ შხამიან ბანგის?
2. რომ სიცრუის და წამხდრობის ბელადს,
დემოკრატიის საყრდენს ვინც გვაცლის,
ჩვენ თავზე დამტყდარ უბედურებას,
ცილისმწამებელს ქართველი მამრის
და მესაფლავეს ღირსეულ ღვაწლის,
გადაეფოფრე და სავსე ღვარძლით
ნათელ მომავალს საფუძველს აცლი,
არ გეშინია უფლის სამართლის?
3. როს ჯაყოს ნახეთქს,
კვაჭის ტყუპისცალს,
და ოინბაზი ყვარყვარეს ნაცვალს,
გზას უსუფთავებ და უტიფარი,
ურცხვი სიტყვების მიდენი ფარას
და უფრო მეტი, ამართლებ თვალთმაქცს,
უსახო მიზნებს სიცრუით ფარავ,
როცა სიმდიდრით სულის სიმწირის
მუხლს უყრის სულით ხეიბარ თვალთმაქცს,
„წყეული თხების“ თვალების პრაწვის“
ცხვირით მიწის მთხრელ მხდალ მთავარსარდალს,
არ გეშინია ზეცის სამართლის?
4. როს ანგარებით ცილს წამებ მაღალს,
სულმოკლეობით სიმართლეს მალავ
და თაღლითურად ატყუებ ალალ
მამრს, მიწის მუშაკს, მეცნიერს, მხატვარს,
ხელს უშლი ქართლის აღორძინებას,
დემაგოგიას იყენებ ფარად,
თვალმინაბული ზარ-ზეიმს მართავ
და თვალთმაქცობით თვით იქეც მტარვალ
ლეგიონერად, სიბილწის შხამად
და ბოროტებას მიართმევ ღალას,
არ გეშინია ღვთის სამართალის?
5. ნუთუ არ გახსოვს, რომ უპირველეს
ცოდვათა შორის სიცრუე სცოდავს,
„ის, ვინც ცილს სწამებს, პირდაპირ დემონს
ემსახურება“ – ილია გვმოძღვრავს!
6. კმარა? მეტს, ათში სხვა ცხრავე ცოდვას
ჩამოგირიგებ ხვადაგის ლოცვანს?,
უპყრიხარ ვისაც გრძნეული ნებით,
სიბნელით მავალ ცოდვების ლოცმანს.
სულ არ გაწუხებს, რომ სიბოროტის
ხდები ამრიგად თანამზრახველი?
გაწუხებს? აღდექ! კაცური ღვაწლით
ქმენ სამართალი სიმართლის მცველი!
7. არ მაქვს იმედი – მონური ლტოლვის
და გააფთრების (გიენას დარად), –
დაშოშმინების და მაინც გეტყვი,
ვერ წარმოიდგენ რა ზიზღის ფასად
და რა თახსირი ქცევის სანაცვლოდ,
ქართული საქმის დასამარცხებლად
გადმოგიყარეს ლუკმა სამადლოდ.
8. თქვენი ნებაა, სად იქეიფებთ,
ყალბი მოღვაწის ფლიდი მშვიდობით,
სამშობლოს ჩამშვებ და მკვლელ ყასბებთან,
თუ მომხრეებთან ზნეობრიობის.
9. მაგრამ იცოდეთ, უფლისა რისხვას
თქვენი ნაგრამიც გაინაწილებს,
ჩვენი შვილებიც, რადგან ერთნი ვართ,
საერთო ხორცს და სისხლს ვინაწილებთ,
გემუდარებით! ნუ შეიწირავთ,
ხვალის იმედი მაინც დაინდეთ!
ცოტა დაფიქრდით, გთხოვთ, შეისმინეთ!
საქართველოს მტერს ნუ გააცინებთ.

მაგრამ გადავრჩით, ბრწყინავს იმედი!

1. დიახ! ბიძინა – ნამდვილი მამრი
და არა კერპი, არა მესია,
შესწვდა ქართველი ხალხის ოცნებას,
რომ შეასრულოს თავის მისია!
2. რომ ვემსახუროთ სულიერ საზრისს,
კაცობრიობას და არა თვალთმაქცს,
ხუთრქიან მხეცის მსახვრელი ხელით
ადამიანის სულიერ ტანჯვას.
3. რომ ვემსახუროთ ზნეობრივ ღვაწლით
სიბოროტისგან ქართველის დახსნას,
სიმართლეს, მამულს, ენას და რწმენას,
უნეტარესმაც ხომ ასე ბრძანა!
4. დღეს ადვილია დითირამბები,
როცა ბოროტი სული სულს ღაფავს,
მაგრამ დაფიქრდით ამ უტიფრების
შეკავშირებას, რა ძალა მართავს.
5. სიო არ ქროდა არც რამ იმედის,
სულს გვიკაწრავდა ხვალის არყოფნა,
ვერ გვიშველიდა მარტო იმედიც,
და ცრუ მეგობრის ხვევნა და კოცნა,
როცა შეება ჩვენი ბიძინა
ამ საუკუნის იავარყოფას
და შეებრძოლა ავანგარდების
თავის გაწირვით და თავდადებით
ჩვენი სამშობლოს სირცხვილს და ლპობას.
6. არავინ იყო არცრის თავდები,
როცა ისმოდა გმინვა და მოთქმა,
როცა სიკეთის ველის ყვავილებს
მახინჯი სული პირწმინდად სძოვდა,
რომ თუნდაც მსხვერპლით აურაცხელით
დამარცხდებოდა გრძნეული ხროვა.
7. ეს ახლა იყო, სულ ცოტა ხნის წინ,
როცა სინათლეს სიბნელე ჭამდა,
და სიძულვილი გავეშებული
ქართველი კაცის ოცნებას ხრავდა.
ეს გუშინ იყო, საბედნიეროდ,
როცა იძროდა გაავებული,
ცბიერი სული მამულსა ზედა,
მდაბიო სულით აღზევებული.
8. ვიხსენებ წარსულს და მაჟრიალებს –
რა კბილთა ღრჭენით, დაუნდობელით.
გვმოძღვრავდნენ შეშლილ თვალთა ბრიალით,
დროს არ გვაძლევდნენ სულის ამოთქმის
და გვიკრძალავდნენ ხმის ამოღებას,
გაჩუმდით, თორემ „სულს, სულს ამოგხდით“.
9. დღესაც არ ცხრება (მონანიების
ნაცვლად) გვაცდუნოს ცდილობს ნაღმებით,
ხედავთ? რა შავი ქაფით ბობოქრობს
აგონიაში მყოფი ძალები,
ბასრი ბრჭყალების რა გამოჩენით
გვებრძვიან ცოდვის რა გაავებით.
10. მაგრამ გადავრჩით, ბრწყინავს იმედი,
თვითგანახლების ფერისცვალებით,
დღეს საქართველოს ოცნების ველში
სიმართლის ფარ-ხმალს ჭედენ მამრები.
11. ახალ სამეფოს ვაშენებთ ტაძარს,
ზნეობრიობის ალამდარები,
მიწის და ზეცის თვინიერ შერთვის
ფერხულში ვდგავართ ძველი მაყრები;
უნეტარესი პატიებას გვთხოვს
სათნოებასთან ნადარბაზევი,
უძღები შვილის ცოდვის მტვირთველი,
ქართველი ერის თანანადები,
დიადი მიზნის ღვთაებრივ ნების
მოჭირნახულე სულის თანმდევი,
ვისუნთქავთ ნექტარს თავისუფლების
და სიყვარულის ჟღერენ ზარები!

გურამ მანაგაძე-მამფალი,
2013 წლის შემოდგომა

◎ ფეხბურთი

მი რა ჟი

იმ დალოცვილმა ინგლისელებმა ფეხბურთის გამოგონებით მადლიანი საქმე კი გააკეთეს, მაგრამ ერთი იაღლიში მოუვიდათ და ჩვენი ცოდვაც დაიდეს.

დიახ, რა თავი ტკიოდათ, ორი ტაიმი რომ დააწესეს – არ იცოდნენ, რომ სათანადო ფუნქციონალური მომზადება ქართველთა ტრადიციული აქილევსის ქუსლია და საკადრის დონეზე თამაში მხოლოდ ნახევარი დროის განმავლობაში შეგვიძლია?

ეს თუ ასე არაა, „მუნდიალ-2018“-ის შესარჩევი რაუნდს სასტარტო შეხვედრებს გადავხედოთ, როცა ავსტრიელებთან შესვენების შემდეგ გავიღვიძეთ, ხოლო ირლანდიაში პირიქით, გასახდელში გასვლამდე ვგავდით იმ გუნდს, რომელსაც უხერხულ მეტოქესთან ღირსეულად გამკლავება ძალუძს.

სხვათა შორის, ამაში გასაკვირი არაფერია – მარტინ ო'ნილისა და მის წინამორბედთა გაწვრთნილი კუნძულელების წინააღმდეგ გამართულ როგორც ოფიციალურ, ისე ამხანაგურ შეხვედრებში ხომ ჯერ ქულაც არ აგვიღია და უკვე კატასტროფული საერთო ანგარიშით ვაგებთ – 0:8!

ირლანდია – საქართველო 1:0
პირველი ტაიმი 0:0
გოლი: კოულმენი (56-ე წთ.).

ჩახედავ მატჩის საოქმო მონაცემებს და გული გაგინათდება კაცს – მასპინძლებს ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლებითაც ვაჯობეთ, კარგი დარტყმებისა და კუთხურების რაოდენობითაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ძელიც კი მათზე მეტად შევაწუხეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავარი ტაბლოა, რომელიც ქრონიკულად გვღალატობს. მოკლედ, არაა საშველი. არადა, ცალკე აღებული, თითქოს სოლიდურად გამოიყურებოდა როგორც ესა თუ ის რგოლი, ისე ჩვენი სოლისტები (ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი, კვირკველია, კაშია და, განსაკუთრებით – დებიუტანტები გვილია და კაკაბაძე). მაშ, რაშია საქმე? – იკითხავთ, ალბათ.

გულშემატკივართა უმეტესი ნაწილისთვის პასუხი ისედაც ნათელია, მაგრამ, მოდით, უელსთან ხვალინდელი უთანასწორო ბრძოლაც გადავაგოროთ და სათქმელი უფრო ამის შემდეგ დავაკონკრეტოთ.

დანარჩენი შედეგები: ავსტრია – უელსი 2:2, მოლდოვა – სერბეთი 0:3.

სატურნირო მდგომარეობა: უელსი, სერბეთი, ავსტრია, ირლანდია – 4-4, საქართველო, მოლდოვა – 0-0 ქულა.

ევროპა. თურქეთი – უკრაინა 2:2, ისლანდია – ფინეთი 3:2, იტალია – ესპანეთი 1:1, მაკედონია – ისრაელი 1:2, კოსოვო – ხორვატეთი 0:6, ლიხტენშტეინი – ალბანეთი 0:2.

სამხრეთ ამერიკა. ბრაზილია – ბოლივია 5:0, პერუ – არგენტინა 2:2, ურუგვაი – ვენესუელა 3:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

ზაზას სასტარტო და 4 ქულა



ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ წინასასეზონო მატჩში შინ „საკრამენტო კინგზი“ 105:96 დაამარცხა. ზაზა სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 17 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 4 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი შესძინა. ფაჩულიამ 4-დან ერთი ორქულიანი და 4-დან ორი საჯარიმო სროლა ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომელიც „ოქროს შტატელებმა“ 27:18 მოიგეს. შეხვედრაში ყველაზე მეტი – 25 ქულა კევინ დიურანტმა ჩააგდო, ხოლო „საკრამენტოში“ 20 ქულით დემარკუს კაზინსი გამოირჩა.

„გოლდენ სტეიტი“ მომდევნო წინასასეზონო შეხვედრას გასვლაზე 15 ოქტომბერს „დენვერ ნაგეთსის“ წინააღმდეგ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ტულონი“ 10 მილიონად იყიდება

გასულ კვირაში მურად ბუჯელალმა „ტულონიდან“ წასვლა დააანონსა და, როგორც ჩანს, კლუბის გასხვისება მყარად აქვს გადაწყვეტილი.

ალჟირელი ბიზნესმენი „ტულონში“ 2006 წელს მივიდა და მის აღორძინებასა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ამ 10 წლის განმავლობაში გუნდმა თითოჯერ მოიგო ტოპ 14 და ევროპის ჩელენჯ ქაფი, ხოლო სამჯერ დაეუფლა ჩემპიონთა და მის წინამორბედ „ჰაინეკენის“ თასს.

გასულ კვირაში ბუჯელალმა თქვა, რომ კლუბმა გადაღალა, რამაც გულშემატკივრებში იმედგაცრუება გამოიწვია და მათ ონლაინ-პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რომლითაც პრეზიდენტს დარჩენას სთხოვენ.

და მაინც, La Parisien-თან ინტერვიუში კომიქსების მაგნატი დარჩენაზე კი არა, მომავალი შეთანხმების ფინანსურ დეტალებზე საუბრობს. მან განაცხადა, რომ კლუბში 7 მილიონი ევროს ინვესტიცია განახორციელა და აქციების 51%-ს, რომელსაც ის ფლობს, 10-იდან 14 მილიონის ფარგლებში გაყიდის. თუმცა, ამ თანხის გადახდა „ტულონის“ შეესაძენად საკმარისი არაა და ბუჯელალი იმასაც ამბობს, რომ მხოლოდ ისეთ ადამიანთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომელიც კლუბს კიდევ უფრო წინ წაიყვანს.

შეგახსენებთ, რომ „ტულონში“ მამუკა გორგოძე, ლევან ჩილაჩავა და ბადრი ალხაზაშვილი თამაშობენ.

ბადრი იაშვილი

◎ მოვლენის წინ

პირველი კანდიდატი – ლერი ხაბელოვი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 23 დეკემბერს გაიმართება და ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელი პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ახალი 4-წლიანი ვადით გასაპრეზიდენტებლად იყრის კენჭს. ამის შესახებ გადაწყვეტილება სეოკ-ის აღმასკომმა ახლახან გამართულ სხდომაზე მიიღო.

დღის წესრიგის პირველი საკითხი რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების გამოსვლის შეჯამება იყო. სეოკ-ის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა აღნიშნა, რომ ბრაზილიური ოლიმპიადისთვის მზადების პროგრამა 2013 წლის დასაწყისში სეოკ-ის ხელმძღვანელობაში ახალი გუნდის მოსვლისთანავე ამოქმედდა. სპორტის სამინისტროსთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რათა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო მთელი მოსამზადებელი ციკლი. მთელი ეს პერიოდი ოლიმპიურ გუნდებს, ცალკეულ წამყვან სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს ყველა პირობა ჰქონდათ იმისთვის, რომ შეუფერხებლად და სრულფასოვნად გაევლოთ ოლიმპიადისთვის მზადების თითოეული ეტაპი.

„საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ მოიპოვა 7 მედალი – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო, საერთო ჩათვლაში კი 207 ქვეყნის დელეგაციას შორის დაიკავა 38-ე ადგილი. ჩვენ გავაუმჯობესეთ წინა ოლიმპიადის შედეგები და შევასრულეთ ჩვენი დევიზი – „უკეთ, ვიდრე ლონდონში!“. ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო პირველად წარსდგა 40 სპორტსმენით, ასევე პირველად – კვარცხლბეკის პირველ და მესამე საფეხურზე იდგა ერთდროულად 2 ქართველი ოლიმპიელი, მძიმე წონაში გამარჯვებულმა, პლანეტის უძლიერეს მამაკაცად აღიარებულმა ლაშა ტალახაძემ კი დაამყარა მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდები, რაც ასევე პირველი შემთხვევაა დამოუკიდებლობის წლებში“ – განაცხადა ელგუჯა ბერიშვილმა.

რიო 2016-ზე ქართველი სპორტსმენების გამოსვლა აღმასკომმაც წარმატებულად შეაფასა. ითქვა, რომ გასული ოლიმპიური თამაშების შედეგებზე დეტალური მსჯელობა გაიმართება სეოკ-ის მომავალ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი სწორედ ყრილობის თარიღის დაზუსტება იყო. სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა აღმასკომის წევრებს 23 დეკემბერი შესთავაზა და აბსოლუტური მხარდაჭერაც მიიღო. ასევე ყველა დათანხმდა სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტის, ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძის ინიციატივასაც, რომ ხაბელოვმა მეორედ იყაროს კენჭი პრეზიდენტის არჩევნებში.

გაირკვა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველი კიდევ ერთი კანდიდატის ვინაობაც. აღმასკომის წევრმა თამაზ თევზაძემ განაცხადა, რომ ლერი ხაბელოვის კანდიდატად დასახელებას მხარს უჭერს, მაგრამ ამავდროულად თავადაც აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. რომელი ფედერაცია წარადგენს თევზაძეს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გაირკვევა მას შემდეგ, რაც ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრებს გამართავს.

წესდების თანახმად, სეოკ-ის პრეზიდენტობის მსურველი კანდიდატების ოფიციალურად წარდგენის ვადა არჩევნებამდე ათი დღით ადრე ამოიწურება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

„მანიუს“ სახელზე ღვინო ჩამოისხმება

როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, მთელი წლის განმავლობაში ბრიტანეთში იმდენი ვისკი ისმევა, მაგდენი საწერი კალამი რომ იყიდებოდეს, ათასი ბაირონი და ათიათასი შექსპირი დაიბადებოდაო, მაგრამ შეიცვალა დრო, გემოვნება და ახლა ბრიტანეთში უკვე ღვინოსაც მშვენივრად გეახლებიან.

ინგლისური საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ მას შემდეგ, რაც პორტუგალიელი ჟოზე მოურინიოს ხელში გადავიდა, კლუბის ბოსების აზრით, ახალ და სრულიად განსხვავებულ რელსებზე დადგა. სწორედ ამ ფაქტის გამო „მანიუს“ ხელმძღვანელობამ კლუბის სახელზე ახალი ღვინის ჩამოსხმა გადაწყვიტა.

ღვინო, რომელიც სულ მალე გამოჩნდება ინგლისისა და არამხოლოდ ინგლისის მაღაზიებში, იორკშირში იქნება წარმოებული და მის ლოგოტიპზე დატანილი იქნება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა დიდი გამარჯვების ამსახველი წლები. ეს ღვინო კლუბის ყველაზე თავგადაკლულ ქომაგებსაც დაურიგდებათ და აქედან დაიწყება მანჩესტერული საკლუბო ღვინის წარმოების ისტორიაც.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პროფესიონალთა აზრი

„თარგამაძის ლიკვიდაცია რომ სდომებოდათ, აფეთქება ბევრად მასშტაბური იქნებოდა“

გივი თარგამაძის „სედანის“ ტიპის ავტომობილი კოლმეურნეობის მოედანთან აფეთქდა. დეპუტატის განცხადებით, ის და მისი მძღოლი მანქანაში წინ ისხდნენ, ხოლო აფეთქებამ ავტომობილს უკანა მხარე მოგლიჯა. აფეთქების შედეგად მანქანის სიახლოვეს მყოფმა ხუთმა ადამიანმა მძიმე დაზიანებები მიიღო. თავად დეპუტატი მცირე ნაკაწრებით და სავარაუდო კონტუზიით რამდენიმე წუთში ტელევიზიის პირდაპირ ეთერში მომხდარის შესახებ საუბრობდა.

რა დაზიანებებს იღებს ადამიანი ამგვარი აფეთქების შედეგად და რა ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო სავარაუდოდ გამოყენებული, ექსპერტი სამხედრო საკითხებში ვახტანგ მაისაია „მეტრონომს“ ვერსიებზე ესაუბრა.

„მეტრონომი“: დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქების შედეგად სამწუხაროდ დაზიანდნენ მანქანასთან მყოფი ადამიანები, თავად თარგამაძემ, საბედნიეროდ, მნიშვნელოვანი დაზიანება არ მიიღო. რა შეგვიძლია ამით ვთქვათ, როგორი ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო?

ვახტანგ მაისაია: სავარაუდოდ, ეს ასაფეთქებელი მოწყობილობა უკანა მხარეს, ძარაზე იყო დამაგრებული. მისი სიმძლავრის მიხედვით, შეიძლება ეს იყო ამონალის ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება. რამდენ პროცენტ ტროტილს შეიცავდა, ამაზე საუბარი რთულია, ამას ექსპერტიზა სჭირდება. თუმცა ჩანს, რომ ეს გათვლილი არ იყო დიდ მსხვერპლზე. ეს უბრალოდ მცირე აფეთქების, ან აფეთქების იმიტაციის განხორციელებისთვის გაკეთდა. რეალურად, გივი თარგამაძის ლიკვიდაცია რომ სდომებოდათ, აფეთქება ბევრად მასშტაბური იქნებოდა და მსხვერპლიც დიდი რაოდენობით იქნებოდა.

ხელყუმბარა უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ამას დიდი აფეთქება მოჰყვებოდა. მცირე ზომის ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო. შესაძლებელია კუსტარულად დამზადებულიც, ან დისტანციური მართვის პულტით. ამას ეფექტის მოხდენის მიზანი ჰქონდა და არა — მსხვერპლის გამოწვევის.

— როგორი უნდა ყოფილიყო ამგვარი აფეთქების შედეგად მანქანაში მჯდომი ადამიანის მდგომარეობა?

— ეჭვი მეპარება, ავტომობილში ისხდნენ კი ადამიანები? აფეთქების შედეგად ავტომობილი მთლიანად სერიოზულად არის დაზიანებული. გივი თარგამაძის სახეზე კი რა დაზიანებებიც ვიხილეთ, აფეთქების სიძლიერის გათვალისწინებით, არ იძლევა საშუალებას ითქვას, რომ ის მანქანაში იყო. როგორც ჩანს, ავტომობილში არავინ იჯდა და თარგამაძე სადმე, ახლომახლოს იყო. მანქანაში მჯდომი ადამიანის დაზიანება საკმაოდ სერიოზული იქნებოდა. მითუმეტეს, რომ თვითმხილველების ინფორმაციით, აფეთქების ხმა საკმაოდ მძლავრი იყო. ის, რომ ხუთი-ათი მეტრის რადიუსში მდგომი ადამიანები დაზიანდნენ და ავტომობილში მსხდომნი — არა, ეს ფანტასტიკაა.

მას საკმაოდ სერიოზული დამწვრობა მაინც ექნებოდა, ასევე ჭრილობები უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. სხეულის შიგნით დაზიანება უნდა ჰქონოდა და რაც მთავარია, აფეთქების შემდეგ, რამდენიმე წუთში პირდაპირ ეთერში ინტერვიუების მიცემა, გამორიცხულია. აფეთქების შედეგად ადამიანი შოკს იღებს, აქედან გამოსვლას ერთი საათი მაინც სჭირდება. თუ კონტუზიასაც იღებს ადამიანი, გამორიცხულია ამ დროს ინტერვიუს მიცემა.

— ნუგზარ წიკლაურის ინფორმაციით, თარგამაძემ კონტუზიაც მიიღო.

— მცირე კონტუზიას იღებს ადამიანი მაშინ, როცა ღია სივრცეშია, ანუ ავტომობილში არ იმყოფება და აფეთქება სასმენ აპარატურას მსუბუქად აზიანებს. ავტომობილში მჯდომი ადამიანის კონტუზიის მიღების ვარიანტი სერიოზული იქნებოდა და ეს მის მეტყველების უნარზეც აისახებოდა.

— არჩევნებამდე 3 დღით ადრე, ვის ინტერესებშია სავარაუდოდ ეს აფეთქება? გაჟღერდა ვერსია, რომ შესაძლოა, ეს პირადი, კრიმინალურ სამყაროსთან არსებული დაპირისპირების გამოც მოხდა.

— კრიმინალური დაპირისპირებაც არ არის გამორიცხული. კრიმინალურ საზოგადოებაში არ აქვს მნიშვნელობა არჩევნებია თუ არ არის არჩევნები, ყველას შესაბამისი უნდა მოეთხოვოს — ასეთი პრინციპია. არ არის გამორიცხული ეს შეშინების ვარიანტი იყო. ყველაზე ცუდი ის არის, რომ პოლიტიკურ ფონზე ეს კარგად გამოიყენა გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალამ.

მანა ნოდია
„მეტრონომი“

ისხდნენ თუ არა მანქანაში, ეს კიდევ საკითხავია

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო სამმართველოს ყოფილი უფროსი, თადარიგის პოლკოვნიკი ჯანო გაგოშიძე „რადიო თავისუფლებამ“ ჩაწერა.

გაგოშიძის განცხადებით, ჩანს, რომ აფეთქება პროფესიონალის მიერ არის მოწყობილი.

„სავარაუდოდ, წინასწარ არის გათვლილი მუხტი, რომელიც იყო ჩადებული აუცილებლად საბარგულში და მიმართული იყო უკანა მხარეს. მართული ნაღმი იქნა გამოყენებული, რა ტიპის, ამის თქმა წინასწარ შეუძლებელია, შეიძლება თვითნაკეთიც იყო. მცირე მუხტი იყო გამოყენებული, რადგან ისეთ ადგილზე, სადაც ეს მოხდა იმ დროს, როგორც ამბობენ, ბევრი ხალხი იყო, თუმცა ცოტა ადამიანი დაშავდა. ასე რომ, ცოტა მუხტი იყო ჩადებული. ამას არ შეეძლო, ადამიანებში მსხვერპლი გამოეწვია, რამდენადაც, როგორც ჩანს, დახურულ სივრცეში 50 გრამი ტროტილის გამოყენება მოხდა, რომელსაც მიმართულება გარეთა მხარეს ჰქონდა“, — ამბობს ჯონი გაგოშიძე.

გაგოშიძის განცხადებით, როგორც სურათზე ჩანს, მანქანის უკანა მხარე არის ფაქტობრივად დაშლილი:

„გამომდინარე აქედან, ისხდნენ თუ არა მანქანაში, ეს კიდევ საკითხავია. დაზიანდნენ ძირითადად ის ადამიანები, ვინც გარეთ იყო. დღეს ამ მიმართულებით ისეა განვითარებული შეიარაღება, რომ მაგალითად ჩვენ კადრში გვაჩვენეს მაგიდასთან მსხდომი ადამიანები, სადაც ისეთი მუხტით მოახერხეს აფეთქება, რომ მხოლოდ ერთი თეფში გადატრიალდა. გამოთვლა მაგისი შეიძლება, თუ ამის დრო და საშუალება გააჩნია პროფესიონალს, ვინც ამას აკეთებს. იმდენი ტიპის ნაღმი არსებობს, რომ წინასწარ იმის თქმა, რა ტიპის ნაღმი იქნა გამოყენებული, ძალიან ძნელია. თვითონ თარგამაძემ თქვა, რომ გამოყენებული იქნა დისტანციური მართვის პუნქტი“, — აღნიშნა ჯონი გაგოშიძემ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ჯიქურიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ჯიქურიშვილი (პ/ნ 45001022046), ყვარელი, ლაშარის ქ. №19.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ყვარელი, ლაშარის ქ. №19 (საკადასტრო კოდი: 57.06.56.230).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32455.07 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 10 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 24 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35511716;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 355117

6. **მოვალე:** მაია ჯიქურიშვილი (პ/ნ 45001022047), ყვარელი, ლაშარის ქ. №19.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35511716; ლოტის ნომერი: 355117).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 21 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

შეკვეთილში მშენებარე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო და სპა კომპლექსის საინვესტიციო ღირებულება 480 მლნ-ია

შეკვეთილის 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო და სპა კომპლექსი საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია, რომელიც წელს დასრულდება. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 480 მლნ ამერიკული დოლარია.

პროექტის ფარგლებში დასრულებულია ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და საჩვენებელი სასტუმრო ნომერი. ამჟამად მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სასტუმროში იფუნქციონირებს 220 ნომერი ხედით ზღვაზე, 1,600 m^2 მოცულობის აკვარიუმი, ზღვაში 150 მ-ზე შეჭრილი აუზი, ღია და დახურული საცურაო აუზები, ზამთრის ბაღი და თემატური რესტორნები. ასევე ხელმისაწვდომი იქნება სპა და მაგნიტური ქვიშის პროცედურები. სასტუმროში განთავსდება ბავშვთა გასართობი ცენტრი, წყლის გიგანტური ტოპოგანი, სპორტული მოედნები, კინოთეატრი და კეთილმოწყობილი სასეირნო ბილიკები.

როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის გასავითარებლად დააფუძნა საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი, რომელიც 4680 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიციას ახორციელებს 8 მასშტაბური პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში, გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში. ამ პროექტებიდან სამ კომპლექსში (სასტუმრო თავისუფლების მოედანზე, სასტუმრო სოლოლაკი და შეკვეთილის სასტუმრო და სპა კომპლექსი) უკვე შემოსულია „მარიოტის“ საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კატეგორიის ბრენდი „Autograph Collection“. 8 პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და დღეისთვის მათში ჯამურად ინვესტირებულია 259 მლნ ლარი. ამ კომპლექსების მშენებლობების პროცესში ჯამურად საქმდება 20 000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ მუდმივად დასაქმებულთა რიცხვი გაუტოლდება 2 500 ადამიანს.

კახეთში ხეხილის ბაღი გაშენდა

კახეთის რეგიონში, გურჯაანის რაიონში მალხაზ ქლიბაძემ აგროპროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ახალი ხეხილის ბაღი გააშენა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აგროპროექტ „დანერგე მომავლის“ მენეჯერმა ლევან დოლიძემ და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ბენეფიციარის მალხაზ ქლიბაძის ბაღი მოინახულეს. მალხაზ ქლიბაძე პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო და 11 ჰექტარზე კაკლის ბაღის გაშენებისათვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 40,977 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. მიღებული დაფინანსებიდან 25,410 ლარი ნერგებზე, ხოლო 15,567 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406097762), თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი, ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ვარკეთილის დასახლება, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის №7, ბინა №14 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.036.01.01.014).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 70289.02 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 10721.88 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 24 ოქტომბერი, 16:15 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** მირანდა ძაძუა (პ/ნ 62006010058), თბილისი, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, ფანასკერტელის №7, ბინა №14;
შპს „დავიდე“ (ს/ნ 406097762), თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი, ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 24 ოქტომბრის 16:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბათუნა ჟღენტის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბათუნა ჟღენტი (პ/ნ 33001044913), ოზურგეთი, მეცნიერების ქ. №14, მე-2 სართული.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, მეცნიერების ქ. №14, მე-2 სართული (საკადასტრო კოდი: 26.26.17.010.01.003).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9298.76 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 10 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 24 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35511316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 355113
6. **მოვალე:** ვასილ კახელიშვილი (პ/ნ 01008036877), თბილისი, დ. წყნეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №2ა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
